17/10/2024

პატრიარქის მილოცვა ვეტერანებს

ჩვენო ვეტერანებო, ქვეყნისათვის დამაშვრალო ჩვენო სულიერო შვილებო, ღვთის შეწევნით, კვლავაც მაქვს შესაძლებლობა, მოგესალმოთ და მოგილოცოთ დღე, რომელიც ყველას ახსენებს თქვენს ღვაწლს, ჩვენი ახლო წარსულის ცოცხალ მაგალითს, ქვეყნისა და მოყვასის სამსახურისათვის გაწეულს.

მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლოვანი ისტორიის მანძილზე საუკეთესო ნაწილი ჩვენი ერისა ეწირებოდა ქრისტეს რწმენას და სამშობლოს დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ათეისტური რეჟიმის პირობებში ყველაზე ღირსეული და გამორჩეული მამულიშვილნი ერთიანად მოსპეს და გაანადგურეს, ქართულ გენში გმირული სული მაინც ვერ ჩაკლეს.

თქვენც ამ გენის გამოვლინებანი ხართ!

მინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ქვეყნის მსახურებისათვის კვლავაც დაუღალავი მუშაკობა.
ასევე, მინდა დავლოცო თქვენი გარდაცვლილი თანამოძმენი და შევთხოვო უფალს მათი სულთა ცხონება, ხოლო მათი შთამომავლების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების მშვიდობით კურთხევა.

მაცხოვრისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მადლი და წყალობა და

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხება არ მოგკლებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

sazu.ge